მონოგრაფია

- ნინო გომართელი, საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2021 წ., საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“, ISBN 978-9941-411-75-5;

ნაშრომში შესწავლილია თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ადგილი და როლი, გარკვეულია ქვეყნის ორიენტაციის პრობლემის, განსაზღვრულია ეკონომიკური ასპექტები და პოლიტიკური გამოწვევები.

ნაშრომში განსაზღვრულია ევროპულ ფასეულობებზე საქართველოს ორიენტაციისა და დასავლეთის სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრების ისტორიული აუცილებლობა;

Georgia and current issues of international politics

The article defines Georgia's orientation towards European values and the historical necessity of our country in the community of Western states; We need a comprehensive and scientifically grounded study of our rich historical chronicle, which will be a solid practical base and, in a sense, a guarantee for the establishment of modern civilized contacts between Georgia and the leading states in the world;

სახელმძღვანელო

- ნინო გომართელი, ევროპული რეგიონალიზმის პოლიტიკა, თბ., 2019, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“, ISBN 997-258-378-59-51;

სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი საკითხები, აღნიშნულია, რომ XXI საუკუნის მიჯნაზე საქართველო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის უმთავრესი იყო სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რომელიც მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული პროგრესის საფუძველია.

European regionalism policy

The book deals with the main issues of Georgia's regional policy, noting that at the turn of the 21st century Georgia faced tasks of the greatest historical importance. The most important of them was the restoration of statehood, which is the basis of its political, economic, socio-cultural progress.

სტატიები:

- „აბრეშუმის დიდი გზა“ - ტრანსკონტინენტალური სავაჭრო-საქარავნო გზის ისტორიიდან, იხ.: ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ N37, თბ., 2018, გვ. 67-72; ISSN 1512-4859

სტატიაში შესწავლილია აბრეშუმის დიდი გზის საკითხი, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის გარკვეულწილად პოლიტიკური სტაბილიზაციის მყარი გარანტი უნდა გახდეს. აღნიშნულია, რომ აბრეშუმის მაგისტრალი იქცევა იმ გზად, რომელიც რეგიონულ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ურთიერთხელსაყრელ ინტერესებამდე მიიყვანს

"The Great Silk Road" - from the history of the transcontinental trade-caravan road

The article examines the issue of the Great Silk Road, which to some extent should become a solid guarantee of political stabilization for our country. The Silk Road is becoming a road that will bring regional political contradictions to mutually beneficial interests.

- ჯონ პონეტი - დიდი ევროპელი ჰუმანისტი და რეფორმატორი, იხ.,: ჟ. განათლება, „N 3 (26) თბ. 2019, გვ. 180-188. ISSN 2346-8300

სტატიაში შესწავლილია ახალი პერიოდის დასავლეთ ევროპაში მოღვაწე ჰუმანისტი მოაზროვნე რეფორმატორი ეპისკოპოსი ჯონ პონეტი, რომლის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები სრულიად ახალი სიტყვა იყო იმ დროინდელი ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

John Ponet - a great European humanist and reformer

The article examines the humanist reformer Bishop John Ponet, who worked in Western Europe in the new period, whose political-legal views were a completely new word in the history of English public-political thought of that time.

- სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან, იხ., საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შრომები 1, (6), თბ. 2019, გვ. 37-43. ISSN-1512-2298

სტატიაში შესწავლილია საქართველოსა და ირანის შორის არსებული უძველესი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, რომელიც უარყოფით სამხედრო და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად ხელს უწყობდა ორ ხალხს შორის სულიერი და კულტურული ურთიერთობების განვითარებას, რასაც მოწმობს საქართველო-ირანს შორის ცალკეული ლიტერატურულ-ენობრივი ელემენტების გავრცელება.

From the history of Persian-Georgian literary relations

The article examines the centuries-old relationship between Georgia and Iran, which, along with negative military and political consequences, contributed to the development of spiritual and cultural relations between the two peoples, as evidenced by the spread of separate literary and linguistic elements between Georgia and Iran.

- რეგიონალიზმის ევროპული მოდელების თავისებურებები, იხ.: აკ. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 46, თბ., 2019, გვ. 11-18. ISBN 765-8832-41-220-1

სტატიაში შესწავლილია რეგიონალიზმის ევროპული მოდელის თავისებურებანი, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, მიზნები, ამოცანები, ჩამოყალიბების ეტაპები და რეგიონული პოლიტიკის რეგულირება ევროკავშირის ქვეყნებში.

Peculiarities of European models of regionalism

The article examines the features of the European model of regionalism, discusses such important issues as the main principles, goals, tasks, stages of formation and regulation of regional policy in the EU countries.

- „აბრეშუმის გზა“ და კავკასია , საქ. ბიზნესის მეცნ. აკადემიის ჟურნ. „მოამბე“XXXVI, თბ. 2019, გვ. 38-42. ISSN 2233-3606

სტატიაში შესწავლილია აბრეშუმის გზისა და კავკასიის ურთიერთკავშირისა და ვაჭრობის საკითხები. კავკასია საუკუნეების განმავლობაში ჩართული იყო მსოფლიო სავაჭრო გზების ქსელში. ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, ფინიკია, ელადა, ძველი საბერძნეთი, ირანი, წინა აზია და ხმელთაშუა ზღვის სხვა რეგიონები საქონელს უმეტესწილად კავკასიაში აგზავნიდნენ.

"Silk Road" and the Caucasus

Trade in the Caucasus was closely connected with the trade routes of both the East and the West. Bounded by the Black Sea in the west, a neighbor of the pre-Asian civilization in the south, and connecting the trade routes leading to the east and the vast steppes in the north, the Caucasus has been included in the network of world trade routes for centuries. Ancient Egypt, Babylon, Assyria, Phoenicia, Hellas, Ancient Greece, Iran, ancient Asia and other regions of the Mediterranean sea sent their goods mostly to the Caucasus.

- კარდინალი ჯულიო მაზარინი - სასახლის ეროვნული აკადემიის დამფუძნებელი იხ. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“ N 43, თბ. 2019, გვ. 66-70; ISSN 1512-4859

სტატიაში შესწავლილია, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწის, სასახლის ეროვნული აკადემიის დამფუძნებლის ჯულიო მაზარინის ცხოვრება და მოღვაწეობა. აღნიშნულია, რომ მაზარინმა განამტკიცა საფრანგეთის პოლიტიკური ჰეგემონია ევროპაში და უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

Cardinal Giulio Mazarin - the founder of the National Palace Academy

The article examines the life and work of Julio Mazarin, the French statesman, the founder of the National Palace Academy. It is noted that Mazarin strengthened the political hegemony of France in Europe and played a major role in the country's cultural life.

- საქართველოს როლი გეოპოლიტიკურ სივრცეში და კულტურათა შორის დიალოგის აუცილებლობა, იხ. ჟ. განათლება , თბ., 2020 გვ. 201-207, ISSN 2346-8300

სტატიაში მოცემულია ცივილიზებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში სამშვიდობო დიალოგის გამოყენების პერსპექტივა, სახელმწიფოთა და ხალხთა თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დაკავებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში საქართველოს როლის განსაზღვრის მცდელობა. აგრეთვე წარმოდგენილია კულტურათა დიალოგის, როგორც კაცობრიობის თვითგადარჩენის ერთ-ერთი პირობის აუცილებლობა.

The role of Georgia in the geopolitical space and the need for dialogue between cultures

The article provides a perspective on the use of peace dialogue in the civilized geopolitical space, an attempt to take a worthy place in the community of states and peoples and define the role of Georgia in the conditions of the new world order. The necessity of dialogue between cultures as one of the conditions for self-preservation of humanity is also presented.

- საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ევროპეიზაციის მცდელობა XIX საუკუნის 30-იან წლებში, საქ. ბიზნესის მეცნ. აკადემიის ჟურნ. „მოამბე“XXXVIII, თბ. 2020, გვ. 38-42. ISSN 2233-3606

სტატიაში გაანალიზებულია ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიანი მოღვაწეობა, რომელიც სათანადოდაა შეფასებული ქართულ საზოგადოებაში, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მწერლობაში. დროთა მსვლელობისას სახელოვან ერის-კაცთა ღვაწლი მეტ მომხიბვლელობას იძენს. სტატიაში აღნიშნულია, რომ ღირსეულ მამულიშვილთა შორის არიან ქართველი მოაზროვნენი, თავადაზნაურთა ის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების განახლება-გაუმჯობესებისათვის.

The role of Georgia in the geopolitical space and the need for dialogue between cultures

The long-term work of Georgian ancestors has been properly evaluated in Georgian society, scientific literature and writing. With the passage of time, the deeds of famous nation-men gain more charm and we are rightly proud of the heroic deeds of our great ancestors. Among the worthy family members are Georgian thinkers, those advanced representatives of the nobility, who continuously fought for the renewal and improvement of the Georgian state structure.

- კულტურათა დიალოგი - ევროპულ კულტურათა ერთიანობის საფუძველი, საქ. ბიზნესის მეცნ. აკადემიის ჟურნ. „მოამბე“XXXIX, თბ. 2020.გვ.54-57. ISSN 2233-3606

სტატიაში შესწავლილია თავისუფალი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობის რთული პროცესია, რომელიც, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინების გარდა, მოითხოვს სახელმწიფოებრიობის ისეთი მოდელის შექმნას, რაც დაფუძნებული იქნება ეროვნულ ნიადაგზე, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი.

The role of Georgia in the geopolitical space and the need for dialogue between cultures

The construction of a free and democratic Georgian state is a complex process, which, in addition to taking into account universally recognized international norms, requires the creation of a model of statehood, which will be based on the national soil, as a result of the development of one's own political culture. The difficult situation in Georgia constantly reminds us that the tasks facing us require us to better understand what our country can do by understanding its spiritual and political experience and perspectives.

- ევროპული განმანათლებლური იდეების გავრცელება საქართველოში, იხ.: ჟ. „განათლება“ N4 (31) თბ., 2020 გვ. 13-18; ISSN 2346-8300

სტატიაში გაანალიზებულია კაცობრიობის საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი XVIII საუკუნე, რომელიც განმანათლებლობის ეპოქის სახელწოდებით დამკვიდრდა. აღნიშნულია, რომ ეს იყო შუა საუკუნეებიდან ახალ ეპოქაზე გადასვლის, ე.წ. „გარდამავალი“ საუკუნე, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა იქონია შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების ფორმირებასა და განვითარებაზე.

The spread of European enlightened ideas in Georgia

In the history of public and political-legal thinking of mankind, the 18th century was established as the era of enlightenment. It was the transition from the Middle Ages to a new era, the so-called The "transitional" century, which had the greatest impact on the formation and development of social-political and legal ideas of the subsequent period.

- დემოკრატიის კრიზისი - ტრანსფორმაციის აუცილებლობა - ახალი ათვლის წერტილი, იხ.: საქართველოს ბიზნეს მეციერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, N XL, თბ., 2021, გვ. 24-30; ISSN 2233-3606

სტატიაში შესწავლილია დემოკრატიის ერთ-ერთი მიზანია მოახერხოს საზოგადოებაში საუკეთესოთა ფენის ფორმირება და კონსოლიდირება თავის ირგვლივ და უნდა შეადგინოს მათგან ერთიანი სუბსტრანტი. უნდა მოხდეს კონსოლიდირება, შეკავშირება ყველა იმ რჩეულისა, ვისაც ძალუძს ღირებულებათა შექმნა, ვისაც ძალუძს იყოს საზოგადოების წარმმართველი ძალა სხვადასხვა სფეროში. სწორედ იმ რჩეულების მოწოდება უნდა გახდეს საკუთარი ხალხის მსახურება: არა მოხმარება, არამედ გაღება და მსახურება!

The crisis of democracy - the need for transformation - a new srarting point

One of the goals of democracy is to succeed in forming and consolidating a layer of the best in the society around itself, and should form a single substratum from them. Consolidation and connection of all those chosen who are capable of creating values, who are capable of being the leading force of society in various fields, should be done. The calling of those chosen ones should become the service of their own people: not to consume, but to give and serve!

- თანამედროვე დემოკრატია - ტრანსფორმაციის აუცილებლობა და ახალი ათვლის წერტილის ძიება, იხ.: საქართველოს ბიზნეს მეციერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, N XL, თბ., 2021, გვ. 24-30; ISSN 2233-3606

სტატიაში შესწავლილია თანამედროვე დემოკრატიის ტრანსფორმაციის აუცილებლობის და ახალი ათვლის წერტილის საჭიროება. აღნიშნულია, რომ XXI საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო მდიდარი ისტორიულ-კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით ცდილობს მოძებნოს ურთიერთობისა და თანამშრომლობის, ახლებური, ოპტიმალური ფორმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და გამართოს კულტურათა დიალოგი, რომელიც უფრო დააკავშირებს კულტურებსა და ცივილიზაციებს და უთუოდ ჰარმონიულს გახდის სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა ურთიერთგამდიდრების, მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესს.

Modern democracy - the need for transformation and the search for a new starting point

In the first quarter of the 21st century, Georgia, taking into account its rich historical and cultural experience, is trying to find a new, optimal form of relationship and

cooperation between the East and the West and to hold a dialogue of cultures, which will connect cultures and civilizations more closely and will undoubtedly make the process of mutual enrichment and peaceful coexistence of cultures of different countries harmonious.

- საქართველოს ევროპული იდენტობის პრობლემა - ემიგრაციის ფენომენი, იხ.: საქართველოს ბიზნეს მეციერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, N XL1, თბ., 2021, გვ. 27-33, ISSN 2233-3606

სტატიაში შესწავლილია საქართველოს ევროპული იდენტობის პრობლემა. აღნიშნულია, რომ თავისუფალი, დემოკრატიული, ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა მრავალასპექტიანი პროცესია. რომელიც საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინების გარდა ითხოვს სახელმწიფოებრიობის იმ მოდელის შექმნას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნება როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი. ქვეყნის ურთულესი და უმძიმესი გეოპოლიტიკური ვითარება მუდმივად შეგვახსენებს, რომ მართალია ვცხოვრობთ ახალ სამყაროში, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის არანაკლებ რთულ პერიოდში.

The problem of European identity of Georgia - phenomenon of emigration

Building a free, democratic, unified Georgian state is a multifaceted process. In addition to taking into account generally recognized international norms, it requires the creation of a statehood model that will be on national soil as a result of the development of its own political culture. The most difficult and difficult geopolitical situation of the country constantly reminds us that although we live in a new world, we are in a no less difficult period of human history. The tasks before us require us to find out what a small country is capable of, it is necessary to bring the spiritual and political experience and prospects of the country into a system of values. In the future, this understanding will determine how we deal with the problems we face.

- ეროვნული ცნობიერება - ქართველი ერის დღეგრძელობისსაწინდარი, იხ.: საქართველოს ბიზნეს მეციერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, N XL1, თბ., 2021, გვ. 61-64, ISSN 2233-3606

სტატია ეხება საქართველოს ორიენტაციის განსაზღვრას, დასავლეთის სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრების ისტორიულ აუცილებლობას. მასში დასაბუთებულია ქართველი ხალხის მიერ ტრადიციულად განსაზღვრული ევროპული ორიენტაციის საკითხი, გაანალიზებულია როგორ

აისახება და რა გავლენას მოახდენს პროგრესული, ზოგადსაკაცობრიო იდეები ქართველი ხალხის ცნობიერებაზე. ხაზგასმულია თავისუფლების მარადიული იდეის, როგორც სულიერების მტკიცე საყრდენის მნიშვნელობა.

National consciousness is a prerequisite for the longevity of the Georgian nation

The article gives a definition of the orientation of Georgia, the historical necessity of the formation of our country in the community of Western states. The question of the European orientation traditionally defined by the Georgian people is substantiated, it is analyzed how progressive, universal ideas will be reflected and will affect the consciousness of the Georgian people. The importance of the eternal idea of freedom as an unshakable support of spirituality is emphasized.

- მიგრაციული პროცესები თანამედროვე ევროპაში, იხ.: საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“, XLIII, თბ., 2022, გვ. 31-34. ISSN 2233-3606

სტატიაში შესწავლილია მიგრაციის საკითხები, რომელიც უკანასკნელ წლებში გახდა მთავარი გლობალური ფენომენი მსოფლიოში. სოციალური მიმართულების და გლობალიზაციის შესახებ მსოფლიო კომისიის მოხსენების რეკომენდაციებში პირველი ადგილი სწორედ მიგრაციის საკითხებს ეხება.

Migration processes in modern Europe

The article examines the issues of migration, which has become the main global phenomenon in the world in recent years. The first place in the recommendations of the report of the World Commission on Social Direction and Globalization concerns the issues of migration.

- კულტურა-ქართული ეროვნული ფასეულობების დაცვის გარანტი, იხ.: საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“, XLV, თბ., 2022, გვ. 104-108. ISSN 2233-3606

სტატიაში გაანალიზებულია ქართლი კულტურის ძირითადი მახასიათებლები. აღნიშნულია, რომ საქართველო თავისი კულტურით ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ცივილიზებული ქვეყანაა. რა გასაკვირია თუ ქართული კულტურის ფენომენზე, მის ბუნებაზე ფიქრი სულ უფრო მეტი დასკვნების შესაძლებლობას გვაძლევს.

Guarantor of the protection of culture-Georgian national values

The main features of Kartli culture are analyzed in the article. It is noted that Georgia is one of the oldest civilized countries with its culture. What is surprising if thinking about the phenomenon of Georgian culture, its nature, gives us the possibility of more and more conclusions.

- ნაპოლეონის ეპოქის მეწარმე ქალი, იხ.: ჟურნალი „განათლება“, თბ., 2023, N1, გვ. 45-50 , ISSN 2346-8300

სტატია ეხება ნაპოლეონის დროინდელ მეწარმე ქალს. ეს არაორდინალური მანდილოსანი, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია არსებულ ტრადიციას, გადადგა მეტად გაბედული ნაბიჯი და გახდა მეუღლის, კლიკოს გვარით სახელგანთქმული Veuve Clicquot-ის სულის ჩამდგმელი.

A woman entrepreneur of the Napoleonic era

The article is about a woman entrepreneur of the time of Napoleon. This unorthodox woman, who did not pay attention to the existing tradition, took a very bold step and became the creator of the spirit of Veuve Clicquot, famous by the name of his wife, Clicquot.